ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘ ᲧᲒᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘ | № 281 (12489) | ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 30 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, გაააჩქარეს რა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეოთხე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ახალი გამარჯვება მოიპოვეს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ ... დამდე შეასრულა თერთმეტი თვის-ინდივიდუალური პროგრამა. გეგმის გადამეტებით გამოიმუშავა დიდძალი ცემენტი, მადანი, ფოლადი, ქვანახშირი, შიფერი. გადაჭარბებითაა შესრულებული აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება.

ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ᲫᲚᲐᲕᲠᲘ შრომითი აღმავლობის დღეებია მთელ ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის ისტორიულ პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ, პლენუმის გადწყვეტილებებმა, რომლებიც გამსჭვალულია შემოქმედებითი ლენინური სულისკვეთებით, მხურვალე საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა ჰპოვეს. ისინი შთაგონებენ და აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს, სახავენ კომუნისტური მშენებლობის გზით მტკიცე წინსვლის ფართო პერსპექტივებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი გაიმართა პარტიის ისტორიული XXII ყრილობის ერთი წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებებს მიაღწია საშინაო ცხოვრებაში და საერთაშორისო ასპარეზზე.

უკანასკნელ წლებში კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა თანმიმდევრულად და მტკიცედ გადაწყვიტეს სამეურნეო ხელმძღვანელობის, მრეწველობის, შენებლობის, სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხები.

სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის ორგანიზაციული გარდაქმნის გაბედულ და საქმიან ღონისძიებებთან ერთად პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებასა და სრულყოფას, რადგან კონტროლი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, სახელმწიფოს მართვა-გამეობაში ფართო მასების ჩაბმის მძლავრი საშუალებაა, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო იარაღია, კომუნისტური აღზრდის ძვირფასი სკოლაა.

„მხოლოდ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური დახმარებით,— აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — შეიძლება მაგრად დავუშვათ ყველა შესასწორებელი და ხვრელი ᲗᲐᲚᲐᲜᲗᲔᲑᲘ, მექრთამეებს, მუქთახორებს, ბიუროკრატებს, ყველა იმათ, ვინც ხელს უშლიან სახელმწიფო დოვლათს. უმკაცრესი კონტროლი უნდა დავაწესოთ შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობისადმი“.

პლენუმის შემდეგ რედაქციაში იმატა მშრომელთა წერილების დენამ. მათი საგრძნობი ნაწილი კრიტიკულია და ამხილებს უყაირათობას, წუნმკეთებლებს, სპეკულანტებს, ცხოვრების სხვადასხვა მახინჯ მოვლენებს, ადამიანებს, რომლებსაც უშრომლად, სხვის ხარჯზე, ოფლის დაუღვრელად სურთ განცხრომით იცხოვრონ.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები იმ საქმოსნების გამოსაცალინებლად და ასალაგმავად, რომლებიც არსად არ მუშაობენ, ან თავი შეფარებული აქვთ მცირეხელფასიან, მაგრამ „სარფიან“ ადგილებში და ცხოვრობენ ხელგაშლილად, არაშრომითი შემოსავლით იშენებენ სახლებს, აქვთ საკუთარი მსუბუქი ავტომანქანები. კომისიები, რომლებიც შექმნილია მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებთან, მეტისმეტად აჭიანურებენ ასეთი საქმეების შესწავლას და მზის ნინათლეზე გამოტანას.

ბევრი საჩივარი შემოდის სამრეწველო ნაწარმისა და სახალხო მოხმარების საქონლის ცუდი ხარისხის გამო. დიასახლისი ი. ფირაძე გვწერს: თბილისში ბევრია ფეხსაცმლის მაღაზია. ეს ძალიან კარგია. მაღაზიაში რომ შეხვალთ, თაროები გაბედილია სხვადასხვა ზომისა და ფერის ფეხსაცმლით. მაგრამ... ადამიანის სულსა და გულს რომ მოეწონოს, ისეთი ძალიან ცოტაა. საკითხავია, რატომ ჩამორჩენად ასე ძლიერ ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი ფეხსაცმლის ფაბრიკები მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებასა და გემოვნებას?“

ფაბრიკის დირექტორებიც ცოტას რომ იღებენ ასეთ წერილებს და, ცხადია, წითლდებიან სირცხვილისაგან.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუაგანახლებიდან მასწავლებელი თ. ზამბახიძე, კოლმეურნე ვ. ყაჭეიშვილი, აგრონომი გ. სიხარულიძე, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ყაჭეიშვილი იტყობინებიან: „ჩვენი მაღაზია სავსეა ფარჩა-აბრეშუმის. ისეთი ქსოვილებით, რომლებიც 15-20 წლის წინათ შემოუზიდავთ. სიძველის გამო ამ ქსოვილებს ფერიც კი დაუკარგავთ, არავინ ყიდულობს, მაინც თაროზეა და უფრო ხუნდება. აქვეა რეზინისძირიანი ძველი მოდის ფეხსაცმელი, რომელსაც მომხმარებელი სათოფედ არ ეკარება. გავიგეთ, რომ ზაფხულში მოუტანიათ კარგი ხარისხის სხვადასხვა სამრეწველო საქონელი, მათ შორის მამაკაცის ხალათები, მაგრამ საწყობშივე გამქრალა და ერთი ცალიც არ გამოუტანიათ მაღაზიაში გასაყიდად“.

ვაჭრობის წესების დარღვევის ასეთ ფაქტებს, სამწუხაროდ, ბევრგან ვხვდებით. სწორედ აქ არის საჭირო მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური დარაზმვა სპეკულაციის, ყალთაბანდობის, ბოროტმოქმედების მხილებისა და ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის.

ადრე სარეწაო არტელებში, მათს დაქუცმაცებულ საწარმოებში თავს აფარებდნენ გაქნილი საქმოსნები, უშვებდნენ ისეთ ნაწარმს, რომელსაც მომხმარებელი ახლოსაც არ ეკარებოდა უხარისხობისა თუ ულამაზობის გამო. უკანასკნელ წლებში მრეწველობის მართვის რეორგანიზაციამ პირისაგან მიწისა აღგვა ასეთი არტელები. ეს მეტად საჭირო და დროული ღონისძიება იყო. მაგრამ არტელის მოყვარული ზოგიერთი საქმოსანი ახლა მოკალათდა სხვადასხვა საწარმოო წამოწყებებში, რომლებსაც ზოგან ყრუ-მუნჯთა საზოგადოება მეთაურობს, ზოგან უსინათლოთა და ზოგან კიდევ სხვა.

სამტრედიის რაიონიდან ა. მურკჯინელი იწერება: „სოფელ კულაშში არსებობს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყება, მაგრამ იქ მომუშავეთა 10 პროცენტიც არ არის ყრუ-მუნჯი. ეს წარმოება უშვებს მეტისმეტად ცუდი ხარისხის პროდუქციას, სამაგიეროდ კულაშში ორსართულიანი სახლები აიშენეს მისმა დირექტორმა ი. მიხელაშვილმა, სამუშაოების შეკეთების საამქროს მუშაკმა ი. ელიგულაშვილმა და სხვებმა“.

მეტად საგულისხმო სიგნალია. დროა მკაცრად, მთელი სისასტიკით გამოვავლინოთ პირადი გამდიდრების ფინით შეპყრობილი ადამიანების ყალთაბანდობა, მათი კომბინაციები, ძირშივე აღვკვეთოთ ისეთი „წამოწყებები“, რომლებიც ვიღაცის გაღვივებული მადის დასაკმაყოფილებლად არის შეკოწიწებული და არა მშრომელთა, მომხმარებელთა ინტერესებისათვის.

ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია საბჭოთა კანონების დარღვევის, სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა დატაცებისა და გაფლანგვის, მექრთამეობის ფაქტები და ჩვენი სოციალისტური წყობილებისათვის უცხო სხვა მოვლენები.

ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამოცანად დაგვისახა მოვაწყოთ კონტროლი ლენინურად, მუდამ გვახსოვდეს, რომ მისი ძალაა მშრომელთა უფართოეს მასებზე დაყრდნობა.

კონტროლის საქმის სული და გული და ორგანიზატორი, მისი წარმმართველი უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციები. როგორც პლენუმის დადგენილებაშია აღნიშნული, პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ხელმძღვანელობდნენ კონტროლის ორგანოების მთელ მუშაობას, მუდმივ დახმარებას, ყურადღებასა და მხარდაჭერას უწევდნენ მათ. პარტიული ორგანოები მოწოდებული არიან იზრუნონ იმისათვის, რომ საკონტროლო ორგანოებში სამუშაოდ შერჩეულ იქნან იდეური, პრინციპული, გამოცდილი მუშაკები, კონტროლის განხორციელებაში ფართოდ ჩაებან პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები.

ლენინურად ორგანიზებული ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი, რომელიც დაეყრდნობა მშრომელთა ფართო მასებს, უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს სახალხო მეურნეობის რეზერვების მობილიზაციაში, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმებაში, წუნმკეთებლობის, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურებისა და სოციალისტური წყობილების ბუნებისათვის უცხო სხვა უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მთავრობის დავალებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 29 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს მეშვეობით ნატო გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

ნატოში ნათქვამია, რომ ეგრეთწოდებულ ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში, რომელიც უკანონოდ მდებარეობს დასავლეთ ბერლინში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებს განზრახული აქვთ 29 ნოემბერს დაიწყონ პროცესი, რათა აკრძალონ დასავლეთ გერმანიის „ნაციზმის დროს დევნილ პირთა დაცვა“.

ამ ორგანიზაციის პოლიტიკური პროგრამა, ნათქვამია ნატოში, ანტიფაშისტური ხასიათისაა და სავსებით შეესაბამება პოტსდამის შეთანხმებისა და გერმანიის შესახებ სხვა სამოკავშირეო გადაწყვეტილებათა პრინციპებს.

ანგარიშის გასწორება, რასაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლები უმზადებენ ამ ორგანიზაციას, — პოლიტიკურად ყველა იმათი აშკარა აბუჩად აგდებაა, ვინც გაერთიანებული ერების მხარეზე იბრძოდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, ვინც ახლაც ილაშქრებს დასავლეთ გერმანიაში რევანშიზმისა და მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება დეკლარაციას გერმანიის დამარცხების შესახებ, რომელიც ერთად მიიღეს მოკავშირე სახელმწიფოებმა.

ასეთმა მოქმედებამ არ შეიძლება არ მოგვაგონოს გერმანიის არცთუ შორეული წარსული და არ შეაშფოთოს ევროპის მშვიდობის განტკიცების ყველა გულწრფელი მომხრე. შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ევროპის მშვიდობას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლები სამი სახელმწიფოს ჯარების მიერ დასავლეთ ბერლინის ოკუპაციის საფარით სულ უფრო აქტიურად იყენებენ ნატოს სამხედრო ბაზად გადაქცეულ დასავლეთ ბერლინს თავიანთი ინტერესებისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მშვიდობის საქმესა და ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა შეთანხმებებით დაწესებულ მიზნებს.

„ყოველივე, რაც დასავლეთ ბერლინში ხდება, ნათლად ადასტურებს, თუ რაოდენ საჭიროა გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგება და ამის საფუძველზე მდგომარეობის ნორმალიზაცია დასავლეთ ბერლინში.

საბჭოთა მთავრობა, აღნიშნულია ნატოს დასასრულს, ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გამოიტანს საჭირო დასკვნებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რათა არ დაუშვას ის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველმა წრეებმა გამოიყენონ დასავლეთი ბერლინი „ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანებისათვის“ სასამართლო-პოლიციური ანგარიშის გასწორების მიზნით.

იდეხტერა შინაარსის ნოტები გაეგზავნა აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ Ი. Ს. ᲟᲘᲠᲜᲝᲕᲘᲡ ᲠᲒᲝᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზაოკსკის“ მერგოლურს ი. ს. ჟირნოვსა და მის ამხანაგებს. ეს არის პასუხი რგოლის წევრებისადმი, რომლებმაც სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გამოუგზავნეს ცნობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ: ოთხმა მექანიზატორმა აწარმოვა იმდენი წვნიანი საკვები, რომ იგი უზრუნველყოფს 500 ძროხას მთელი წლის განმავლობაში.

— თქვენს ინიციატივას, თქვენს წარმატებებს დიდი მნიშვნელობა აქვს, — ხაზს უსვამს ნ. ს. ხრუშჩოვი. — იგი უჩვენებს იმას, რომ საკვები კულტურების მექანიზებული მოვლა-მოყვანის გამოცდილების ფართო განზოგადება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ხელს შეუწყობს მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოების შემდგომ გადიდებას საბჭოთა კავშირში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მექანიზატორებს უსურვა ახალი დიდი წარმატებანი მუშაობაში და მხურვალედ მიესალმა საბჭოთა მეურნეობის მთელ კოლექტივს. (საკდესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲠᲝᲨᲣᲠᲐ

ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐᲓ გამოვიდა ტექსტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა „სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ“, რომელიც მიღებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო 1962 წლის 23 ნოემბერს.

ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ. (საკდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ Კ. Ს. ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲩᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 27 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ნ. ა. აბალკინის თავმჯდომარეობით გაიმართა დიდი რუსი რეჟისორისა და აქტიორის კ. ს. სტანისლავსკის დაბადების 100 წლისთავის მომწყობი სრულიად საკავშირო კომიტეტის პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის წევრებმა, მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებისა და თეატრალურ საზოგადოებათა წარმომადგენლებმა, ხელოვნების ცნობილმა ოსტატებმა.

არა მარტო თეატრის მოღვაწენი, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი ემზადება იუბილესთვის, როგორც სახალხო დღესასწაულისათვის. ამის შესახებ ილაპარაკა კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. ა. პროკოფიევმა.

მან დამსწრეთ აცნობა, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წინადადებით მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი აღინიშნოს მთელ მსოფლიოში. იუბილეს ეძღვნება საერთაშორისო ხასიათი. ამას ადასტურებს ის დადგენილებაც, რომელიც მიიღო იუნესკომ.

კ. ს. სტანისლავსკის დაბადების 100 წლისთავის მომზადების ფართო სუროთი დახატეს თავიანთ გამოსვლებში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნ. მ. უძვიეიმ (უკრაინა), სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ა. ხორავამ (საქართველო), სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხოჯაევმა (უზბეკეთი), სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ყულმამედოვმა (თურქმენეთი), ლიტვის სსრ სახალხო არტისტმა ი. ფ. რუბინსკასმა, ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტმა კოჟამკულოვმა, ყირგიზეთის სსრ სახალხო არტისტმა ბ. კიდიკეევამ, ლენინგრადის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, ესტონეთის, მოლდავეთის, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა და სხვებმა. მათ ილაპარაკეს რესპუბლიკური საიუბილეო კომისიების საქმიანობაზე, ახალი სპექტაკლების დათვალიერებების, გამოცემების, ლექციების, საუბრების, გამოფენების შესახებ, რომლებიც ამ თარიღთანაა დაკავშირებული.

რეჟისორმა ს. დ. ბუბრიკმა პლენუმის მონაწილეებს უჩვენა კ. ს. სტანისლავსკის შესახებ დოკუმენტური ფილმის მასალები.

ᲡᲐᲓᲘᲚᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲛᲐᲓ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 29 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა 28 ნოემბერს სსრ კავშირის წარმომადგენლობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამართა საღილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე სოციალისტური ქვეყნებისა და აზია-აფრიკის ქვეყნების დელეგაციათა მეთაურებისადმი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ



ᲕᲘ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ 35-Ე ᲢᲝᲛᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲓᲐ ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 35-ე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ. ტომში დაბეჭდილია ნაწარმოებები, დაწერილი 1917 წლის 25 ოქტომბრიდან (7 ნოემბერი) 1918 წლის 5 მარტამდე.

ტომი იწყება ლენინის ისტორიული დოკუმენტებით: მოწოდებით „რუსეთის მოქალაქეებისადმი!“, რომელმაც „აუწყა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობა. აქ დაბეჭდილია მოხსენება საბჭოების ხელისუფლების ამოცანების შესახებ პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს), მოხსენებები ზავისა და მიწის შესახებ სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე, რომელმაც გამოაცხადა, რომ რუსეთში ძალაუფლება გადაეცა საბჭოებს და შექმნა საბჭოთა მთავრობა ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

ტომში შესულ ნაწარმოებებში ლენინმა შეიმუშავა სოციალისტური შენებლობის დაწყების პროგრამა, წარმოების ძირითად საშუალებათა სოციალისტური განსაზოგადების წესები. ამ ნაწარმოებებში გამოხატულება პოვეს უმნიშვნელოვანესმა საკითხებმა — მუშათა კონტროლის შემოღებამ, ბანკებისა და მრეწველობის ნაციონალიზაციამ, სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ. ტომში შედის ფართოდ ცნობილი სტატია „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“, რომელშიც ლენინმა გააშუქა მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის მნიშვნელობა ახალი, სოციალისტური საზოგადოების შექმნაში, ჩამოაყალიბა და დაასაბუთა სახალხო მეურნეობის მართვის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომლითაც მუდამ ხელმძღვანელობენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

ტომში შესული მთელი რიგი ნაწარმოებნი ასახავენ ლენინის საქმიანობას საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციისათვის. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციას“, რომელიც პირველი საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველი იყო, და ლენინის მოხსენებას სახალხო კომისართა საბჭოს საქმიანობის შესახებ, რომელიც სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობაზე გაკეთა 1918 წლის იანვარში.

ბევრი დოკუმენტი ასასიათებს ლენინის, პარტიის ბრძოლას მემარჯვენე ოპორტუნისტული, ოპოზიციური ჯგუფის — კამენევის, ზინოვიევის, რიკოვისა და სხვათა — წინააღმდეგ, რომელმაც მხარი დაუჭირა მენშევიკთა და მემარჯვენე ესერთა მოთხოვნას შექმნილიყო ეგრეთწოდებული „ერთგვაროვანი სოციალისტური მთავრობა“.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტომში დოკუმენტებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებასთან, მშვიდობიანი თანაარსებობის იმ პრინციპების განხორციელებასთან, რომლებიც გამოაცხადა ლენინურმა დეკრეტმა ზავის შესახებ. ლენინისა და პარტიის დაძაბული ბრძოლა ბრესტის ზავის დადებისათვის და გერმანელ დამპყრობთაგან საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისათვის უანლესს, საბჭოეთის ცხოვრებისათვის უაღრესად სამშიშ პერიოდში — 1918 წლის იანვარ-თებერვალში — ასახულია „თეზისებში სეპარატული და ანექსიონისტური ზავის დაუყოვნებლივი დადების საკითხზე“, გამოსვლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე, მოხსენებაში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1918 წლის 24 თებერვალს, მოწოდებაში „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“, სტატიებში „ბედუკუღმართი ზავის საკითხის ისტორიისათვის“, „რევოლუციური ფრაზის შესახებ“ და სხვ. ეს დოკუმენტები ამხილებენ ტროცკისა და „მემარცხენე კომუნისტთა“ ჯგუფის — ბრესტის ზავის დადების მოწინააღმდეგეთა პოზიციას, რომელიც უაღრესად სამში იყო საბჭოთა ქვეყნისათვის. ზავის დადება გერმანიასთან, როგორც არაერთგზის აღნიშნავდა ლენინი, იყო კომპრომისი, მაგრამ სწორედ ისეთი კომპრომისი, რომელიც საჭირო იყო საბჭოთა სახელმწიფოს ხსნისა და განმტკიცებისათვის. ლენინმა ცხადყო, თუ რა საზიანო და საშიში იყო სოციალისტური რევოლუციის ბედისათვის რევოლუციური ფრაზეოლოგია „მემარცხენე კომუნისტებისა“, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეფუშათ ბრესტის ზავის დადება.

ტომი შეიცავს მთელი რიგი დოკუმენტებით, რომლებიც პირველად არის შეტანილი თხზულებებში. ამ დოკუმენტებიდ მნიშვნელოვანი ნაწილი სახკომსაბჭოს დადგენილებათა და საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტთა პროექტებს წარმოადგენენ. დიდ ინტერესს იწვევენ ვ. ი. ლენინის გამოსვლები სახკომსაბჭოს სხდომაზე 1918 წლის 4 მარტს. ეს გამოსვლები, რომლებიც პირველად ქვეყნდება, მიმართულია ანარქო-სინდიკალისტური ტენდენციების წინააღმდეგ.

ტომში ქვეყნდება ვ. ი. ლენინის სტატია „პლეხანოვი ტერორის შესახებ“, რომელიც 1917 წლის დეკემბერში ხელმოუწერლად დაიბეჭდა „პრავდასა“ და „იზვესტიაში.“ (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲓᲘᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲓᲘᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲞᲘᲚᲝᲢᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲚᲝᲢᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲣᲚᲘᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ფოლტი

დღეიდან ჩვენს გაზეთში იქმნება ახალი განყოფილება — „შოლტი“. რას ემსახურება იგი?

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნოემბრის პლენუმმა მოუწოდა მთელ საბჭოთა ხალხს: ულმოგელი გრძოლა გამოუცხადოს საზოგადოების ყველა ხორცმეტს, ფართოდ ჩაეგბას საზოგადოებრივი კონტროლის საქმეში, გაგედულად ამხილოს ყველა ის ნაკლოვანება, რაც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის გიგანტურ წინსვლას.

„შოლტის“ მიზანია ამხილოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების დამტაცებლები, მექრთამეები, უქნარები, ჩვენი ნაკლოვანებანი.

ძვირფასო მკითხველებო! გიწვევთ ითანამშრომლოთ ჩვენი გაზეთის ახალ განყოფილებაში.

გამოგვიგზავნეთ მამხილებელი წერილები. შოლტი — ყველა უქნარასა და გაიძვერას!

არ აშენდა...

„შენდა, შენდა, არ აშენდაო“ — ეს სიტყვები თითქოს ჩვენ სკოლაზეა ნათქვამი. მისი მშენებლობა რამდენიმე წელია გრძელდება, მაგრამ დღემდე მხოლოდ საძირკველია ამოყვანილი. ახალციხის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ორგანიზაციაში მოკალთებულმა საქმოსნებმა მარტო სოფელ მუსხის საშუალო სკოლის კი არა, ყველა ობიექტის მშენებლობა ჩაშალეს, საკმაო თანხა მიითვისეს და „დამსახურებულად“ საგამომძიებლო ორგანოების ხელში მოხვდნენ.

მშენებლობა კი ერთ წერტილზე გაიყინა. საგულისხმოა, რომ ურაველისა და ანდრიაწმინდის სასოფლო საბჭოებში შემავალ არცერთ სოფელში არ არის საშუალო სკოლა. სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს ახალციხეში 20-22 კილომეტრზე უხდებათ სკოლაში სიარული.

ეს კარგად იციან ახალციხის რაიონის ხელმძღვანელებმა. განათლების განყოფილებაში გვიპასუხებენ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აჭიანურებს დაფინანსებას და მშენებლობის გეგმაში მუსხის საშუალო სკოლის შეტანასო.

საინტერესოა, როდემდის გაგრძელდება სოფელ მუსხში საშუალო სკოლის მშენებლობა?

გ. ივანიძე,
ახალციხის რაიონის სოფელ მუსხის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი,

ა. მაისურაძე,
კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი,

მ. მელიქიძე,
მებაღეობის ბრიგადის მერგოლური,

ი. ინასარიძე,
კოლმეურნე.

ეს არავის არ აღელვებს

სოფელ გომში (ხაშურის რაიონი) ელექტროქსელის ბოძების მეტი წილი ძირმომპალია და აქეთ-იქით გადაწვენილი.

ელექტროქსელის ასეთ მდგომარეობას შეიძლება ადამიანთა მარცხიც მოჰყვეს. საკვირველია, რომ ეს არავის არ აღელვებს და არ აწუხებს.

ა. გიგიტაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, მასწავლებლები; ა. უულიჯანოვი, მუშა; ა. გელაშვილი, დიასახლისი.

გამოკეტილი აფთიაქი

კარწახი ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და კულტურული სოფელია მაღალმთიან ახალქალაქის რაიონში. აქ არის სასოფლო საავადმყოფო, კარგი ხანია არსებობს აფთიაქიც, მაგრამ იგი თითქმის არ მუშაობს, მეტწილად დაკეტილია.

რ. აფინიანი,
სოფლკორი.

ბნელი რეისი

სპეკულანტებს — საგზაგადოებრივი ფიფქი

ტრიუმფნის არხის მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც ცხინვალის რაიონის სოფელი ოტრევი, გზაზე ორი ახალი, ბრეზენტგადაფარებული სატვირთო მანქანა „გაზ-51“ იდგა. სალამო იყო. ავტომძღოლები გზის პირას წამოწოლილიყვნენ და დაბინდების მოლოდინში საუბრობდნენ, შორიდან გარკვევით ჩანდა ავტომანქანის ნომრები გო-72-80 და გო-96-97. ჩრდილოეთისაკენ — ონის მიმართულებით ჰქონდათ გზა აღებული.

მივუახლოვდით. მძღოლები ფეხზე წამოდგნენ, ტანსაცმელი შეიბერტყეს და მოგვესალმნენ. ცოტა უფრო მოშორებით რამდენიმე ახალგაზრდაც დავინახეთ მხარეთქონზე წამოწოლილი.

— საით მიემართებით? — შევეკითხეთ მძღოლებს.

— შოვისაკენ, მოწყობილობა მიგვაქვს საკურორტო სამმართველოსათვის, — უგემურად გვიპასუხეს მძღოლებმა და ცოტა არ იყოს შეშფოთდნენ. ჩვენ გვეუცნაურა ასეთი პასუხი. ვიფიქრეთ, თუ შოვში მიდიან, რატომ გორი-ცხინვალის გზატეხილით არ მიდიან, ის ხომ უკეთესი გზაა!

მძღოლების ასეთმა გაურკვეველმა პასუხმა დაგვაეჭვა. მანქანებს შემოვუარეთ, უკნიდან ბრეზენტი აეწიეთ, და ეი სარცრეს: მანქანები მოწყობილობის ნაცვლად შამპანური რენტიტი სავსე უუთებით იყო დატვირთული.

მძღოლებმა შ. მიქელაძემ და ვ. გეგეშიძემ შეკითხვა არ გვაცალეს და თავის მართლებას შეუდგნენ: მოწყობილობა უკვე ავიტანეთ ონში, იქიდან მოვდიოდით, ეს ამხანაგები შეგვხვდნენ, მათი ვაშლი იქიდან ჩამოვიტანეთო.

— ვინ არიან ეს ამხანაგები?

— აგერ ესენი! — მიგვითითეს მძღოლებმა.

ავთანდილ დემურაშვილი, გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა, კომკავშირელი; შოთა თომაშვილი, ამავე რაიონის სოფელ ძევრიდან, საშუალო სკოლადამთავრებული, ახალგაზრდა, რომელიც ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში დაეხეტება და სასარგებლო შრომას არ ეწევა.

აგერ კიდევ ამ ვაშლის პატრონები: იოსებ შიუკაშვილი სოფელ ჯარიაშენიდან. არც ის იწუხებს შრომით თავს. კოლმეურნეობის წევრად ითვლება, სინამდვილეში კი სოფლისათვის გამოუდეგარია. მათ გზას ადგას აგრეთვე კარალეთის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მუშა ამირან ბერიანიძე.

ავტომძღოლებმა საგზურები გვაჩვენეს. ამით ჩვენ შევიტყვეთ, რომ ეს ავტომანქანები თბილისის მეხუთე ავტოსატრანსპორტო კანტორას ეკუთვნის. ნუთუ ამ ორგანიზაციაში არ იციან თავიანთი ავტომანქანების მარშრუტები?

მძღოლებმა სასპეკულაციოდ დატვირთული ვაშლი ხილის მიმღებ პუნქტში გადმოტვირთეს და საგზურები მიატოვეს, სოფლიდან სიბნელეში გაიპარნენ. ბნელი რეისი ვერ შედგა. ვისაც ეს ეხება, მზის სინათლეზე უნდა გამოიტანოს ეს საქმე. იქნებ გორელმა ამხანაგებმა შეძლონ და გაარკვიონ, თუ საიდან იქნა წამოღებული ის ხუთი ტონა ვაშლი, რომელიც ცხინვალის რაიონის სოფელ არცევის მიმღებ პუნქტს ჩაბარდა. თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორა ალბად თავის მძღოლებს დანაშაულისათვის სასჯელს მიუზღავს.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეს მთავარია

მოგვითხრობენ კლენუმის მონაწილენი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა გადაწყვიტა პარტიული ორგანოები აიგოს საწარმოო პრინციპის მიხედვით. ეს გარდაქმნა ცხოვრებით არის ნაკარნახევი. ნოემბრის პლენუმი დიდმნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. მე მქონდა საუბარი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შუქურებთან: მანუკოვსკისთან, მამაისთან და სხვებთან. ყველა ამბობდა, რომ პარტიული ორგანოები დღემდე ვერ სწვდებოდნენ წარმოების სულსა და გულს. რაიკომის მუშაკები ყველაფერს ეპოტინებოდნენ, საბოლოო შედეგი კი მაინც არადამაკმაყოფილებელი იყო.

პლენუმზე ბევრი ითქვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა სასახელო საქმეებზე. მეჩაიეებთან ერთად მევენახეებს შეუქმეს მარჯვენა. ამან მათ ამაყ სიმხნეევე შემატა. ახლა დავრწმუნდით, რომ ის, რაც ღღეს გვაქვს, ხვალისთვის არ კმარა. კომუნიზმი თავისთავად არ მოვა. იგი ბეჯით შრომას მოითხოვს.

ვაზი სხვა კულტურებთან შედარებით გვალვას იტანს. მაგრამ სეტყვას? წელს გურჯაანში ძლიერმა სეტყვამ ზვრები დიდი რაოდენობით დააზიანა, მაგრამ გული არ გაგვტეხია. ვენახზე ზრუნვას გაგაძლიერებთ. წელს სახელმწიფოსათვის 2.300 ტონა ყურძენი უნდა მიგვეყიდა, ფაქტიურად 2.850 ტონა ყურძენი მივყიდეთ. კოლმეურნეობის საერთო წარმატებაში ჩემმა ბრიგადამაც სათანადო წვლილი შეიტანა. ბრიგადის ვენახები, მართალია 50 პროცენტით დაისეტყვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰექტარზე საშუალოდ 76 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, გეგმა კი 66 ცენტნერი იყო.

ბრიგადის წევრთა შორის ბევრია ზაგლადას მიმდევარი. ნინო ჩითარიშვილმა 80 წელს მიაღწია, მიუხედავად ამისა, შრომაში ტოლი არა ჰყავს. რგოლს, რომელსაც იგი მეთაურობს, მოსავლელად 17 ჰექტარი ვენახი აქვს, რომელიც სანიმუშოდ არის მოვლილი.

წარმატება გვაქვს, მაგრამ თვალწინ მომავალი გვიდგას. შვიდწლედის მეხუთე წელს თუ უფრო მეტს არ მივაღწიეთ, აბა რაღა წინსვლა იქნება? ვაზის მწკრივთა შორის ხვნა, სასუქების შეტანა დავამთავრეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. ჩვენთან ვაზის სიმეჩხრე 20 პროცენტს აღწევს. განა არ არის დრო, რომ მთლიანად მოისპოს ვაზის სიმეჩხრე? გაზაფხულისათვის სიმეჩხრე არ იქნება, ამას მივაღწევთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ბევრი ითქვა კონსტრუქტორებისა და მანქანათმშენებელთა სასახელო საქმეებზე. არც ჩვენ გვეთქმის სამდურავი მათზე. ვენახის, ნიადაგის მოხვნა, შაბიამნის ხსნარით და გოგირდით წამლობა მექანიზებულია. ეს კარგია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სამუშაო, რომელიც ხელით შრომას მოითხოვს. ავიღოთ თუნდაც ვაზის ძირების დამუშავება. განა ბარვა ადვილი საქმეა? კონსტრუქტორებმა და მანქანათმშენებლებმა უნდა იზრუნონ, რომ შექმნან ისეთი სრულყოფილი მანქანა, რომელიც ვაზის ძირებს დაამუშავებს.

რამდენიმე წელია, რაც ჩვენი მეცნიერები სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე მუშაობენ. შედეგი ჯერ არა ჩანს. წელს ალაზნის ველზე მილიონობით მანეთის ქონება დაიკარგა. მეცნიერებმა შექმნეს ხომალდები, რომლებიც პლანეტებისაკენ მიჰქრიან, რა გაუჭირდათ ისეთი, რომ სეტყვის საწინააღმდეგოდ ვერაფერი გამოიგონეს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი. მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა დიდად შეუწყობს ხელს გამართულ მუშაობას. ახლა ხელმძღვანელები წარმოებასთან უფრო ახლოს იქნებიან. ოპერატიულად იზრუნებენ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, გვექნება საერთო წარმატება.

ველისციხის კოლმეურნეობის მევენახეები სიტყვას ვაძლევთ მშობლიურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ხალხს, რომ შვიდწლედის მეხუთე წელს ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ 120 ცენტნერ ყურძენს და ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში.

მ. მექვეკრიშვილი,
გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მონაწილე.

სურათზე: მ. მექვეკრიშვილი (მარცხნივ) და ნ. მანუკოვსკი კრემლში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ზრომა და გამარჯვება

სასიხარულო ფაქტები

მივდინარე სამეურნეო წელს წარმატება მოვიპოვე. 0,4 ჰექტარზე 9.700 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოვკიოფე. მიღწეული ზღვარი როდია.

შვიდწლედის მეხუთე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა უკვე დაიწყე. ჩაის პლანტაციებში სულ მალე დავამთავრებ ძემოდგომა-ზამთრის სამუშაოებს.

მარიამ ჩელებაძე,
ქობულეთის საწარმოო სამმართველოს კვირიკეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ჩვენს კოლმეურნეობას 110 ჰექტარზე ეთესა „მინდვრის დედოფალ“. ჰექტარზე 51 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ. ჩემმა ბრიგადამ კი — 57 ცენტნერი.

გადავწყვიტეთ მომავალ წელს ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მივიღოთ.

არსენ თამარაშვილი,
გორის საწარმოო სამმართველოს სამოთვისის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ჩვენმა მეჩაიეებმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს. სახელმწიფოს ჩააბარეს 2.515 ტონა ჩაის ფოთოლი, 200 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

მომავალი წლის უხვი მოსავლის საფუძვლის ჩაყრა დავიწყეთ. 100 ჰექტარ პლანტაციაში ჩავატარეთ მექანიზებული ფუმიგაცია, მიმდინარეობს რიგთა შორის გადაბარვა. მექანიზატორებმა უკვე დაამუშავეს 300 ჰექტარი პლანტაცია.

გ. ჩაჩიბაია,
გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ხორცისა და რძის წარმოების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეავსრულეთ. სახელმწიფოს მივყიდეთ 650 ცენტნერი ხორცი და 2.270 ცენტნერი რძე.

პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის საესებით მზად ვართ. მოვემზადეთ საკმაო საკვები, ბინების შეკეთება დამთავრებულია.

ი. ბარეშვი,
ახალციხის საწარმოო სამმართველოს სოფელ სპასოკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ზეგეგმითი ქვანახშირი

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ინდუსტრიული ტყვარჩელის მშრომელები პლენუმის გახსნის დღიდანვე ამ შესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავ შრომითს ეახტზე დადგნენ და მონდომებით იბრძვიან კომუნისტური შრომის ქალაქის სპატიო წოდების მოპოვებისათვის.

განსაკუთრებით დაძაბულად შრომობენ ამ დღეებში № 6 შახტის მშრომელები, რომლებიც ზრუნავენ რაც შეიძლება სწრაფად აითვისონ შახტის საპროექტო სიმძლავრე. აქ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ და პლენუმის სხვა მასალებმა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს. შახტი ყოველდღიურად გადაჭარბებით ანაღდებს ქვანახშირის მოპოვების დავალებას. ყველაზე წინ მიდის № 3 უბანი, რომელსაც გამოცდილი მეშახტე ვ. ბარბაქაძე ხელმძღვანელობს. მარტო უკანასკნელ ხუთდღიურში უბანმა 200 ტონაზე მეტი ზეგეგმითი საობობი მოიპოვა.

მართალია მოხუცი ვარ, მაგრამ ახლა მხართეძოზე წამოწოლის დრო არ არის. წელს ერთ ჰექტარზე ნაცვლად 69 ცენტნერისა 160 ცენტნერი ყურძენი მივიღე. მარტო პრემიის სახით 50 ცენტნერი ყურძენი მერგო. ოჯახს 1.500 მანეთი შევმატე.

მომავალ წელს უფრო მეტი იქნება.

ივანე ეჟიშვილი,
თელავის საწარმოო სამმართველოს სოფელ გრემის გორკის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე.

არის ოლიური გეგმა

სოხუმი. (საკ. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში ახალ საწარმოო გამარჯვებას მიაღწია სოხუმის ხორცკომბინატის (დირექტორი გ. ნოდია) კოლექტივმა. კომბინატმა 10 ნოემბრისათვის ვადაზე ადრე გაანაღდა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება. გეგმის ზევით გამოშვებულია 78 ათასი მანეთის პროდუქცია. საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია რამდენიმე ათეული ათასი მანეთი. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობენ საძეხვე და ცხიმეულის საამქროები.

მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება როდი სჩვევია ამ კომბინატის სახელოვან კოლექტივს. გადაწყვიტეს მიმდინარე წლის ბოლოსათვის გეგმის ზევით გამოშვაონ 500 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ ვალდებულების შესრულებისათვის აქ ფართოდ გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა.

ბელი რეისი

სპეკულანტებს — საგზაგადოებრივი ფიფქი

ტრიუმფნის არხის მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც ცხინვალის რაიონის სოფელი ოტრევი, გზაზე ორი ახალი, ბრეზენტგადაფარებული სატვირთო მანქანა „გაზ-51“ იდგა. სალამო იყო. ავტომძღოლები გზის პირას წამოწოლილიყვნენ და დაბინდების მოლოდინში საუბრობდნენ, შორიდან გარკვევით ჩანდა ავტომანქანის ნომრები გო-72-80 და გო-96-97. ჩრდილოეთისაკენ — ონის მიმართულებით ჰქონდათ გზა აღებული.

მივუახლოვდით. მძღოლები ფეხზე წამოდგნენ, ტანსაცმელი შეიბერტყეს და მოგვესალმნენ. ცოტა უფრო მოშორებით რამდენიმე ახალგაზრდაც დავინახეთ მხარეთქონზე წამოწოლილი.

— საით მიემართებით? — შევეკითხეთ მძღოლებს.

— შოვისაკენ, მოწყობილობა მიგვაქვს საკურორტო სამმართველოსათვის, — უგემურად გვიპასუხეს მძღოლებმა და ცოტა არ იყოს შეშფოთდნენ. ჩვენ გვეუცნაურა ასეთი პასუხი. ვიფიქრეთ, თუ შოვში მიდიან, რატომ გორი-ცხინვალის გზატეხილით არ მიდიან, ის ხომ უკეთესი გზაა!

მძღოლების ასეთმა გაურკვეველმა პასუხმა დაგვაეჭვა. მანქანებს შემოვუარეთ, უკნიდან ბრეზენტი აეწიეთ, და ეი სარცრეს: მანქანები მოწყობილობის ნაცვლად შამპანური რენტიტი სავსე უუთებით იყო დატვირთული.

მძღოლებმა შ. მიქელაძემ და ვ. გეგეშიძემ შეკითხვა არ გვაცალეს და თავის მართლებას შეუდგნენ: მოწყობილობა უკვე ავიტანეთ ონში, იქიდან მოვდიოდით, ეს ამხანაგები შეგვხვდნენ, მათი ვაშლი იქიდან ჩამოვიტანეთო.

— ვინ არიან ეს ამხანაგები?

— აგერ ესენი! — მიგვითითეს მძღოლებმა.

ავთანდილ დემურაშვილი, გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა, კომკავშირელი; შოთა თომაშვილი, ამავე რაიონის სოფელ ძევრიდან, საშუალო სკოლადამთავრებული, ახალგაზრდა, რომელიც ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში დაეხეტება და სასარგებლო შრომას არ ეწევა.

აგერ კიდევ ამ ვაშლის პატრონები: იოსებ შიუკაშვილი სოფელ ჯარიაშენიდან. არც ის იწუხებს შრომით თავს. კოლმეურნეობის წევრად ითვლება, სინამდვილეში კი სოფლისათვის გამოუდეგარია. მათ გზას ადგას აგრეთვე კარალეთის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მუშა ამირან ბერიანიძე.

ავტომძღოლებმა საგზურები გვაჩვენეს. ამით ჩვენ შევიტყვეთ, რომ ეს ავტომანქანები თბილისის მეხუთე ავტოსატრანსპორტო კანტორას ეკუთვნის. ნუთუ ამ ორგანიზაციაში არ იციან თავიანთი ავტომანქანების მარშრუტები?

მძღოლებმა სასპეკულაციოდ დატვირთული ვაშლი ხილის მიმღებ პუნქტში გადმოტვირთეს და საგზურები მიატოვეს, სოფლიდან სიბნელეში გაიპარნენ. ბნელი რეისი ვერ შედგა. ვისაც ეს ეხება, მზის სინათლეზე უნდა გამოიტანოს ეს საქმე. იქნებ გორელმა ამხანაგებმა შეძლონ და გაარკვიონ, თუ საიდან იქნა წამოღებული ის ხუთი ტონა ვაშლი, რომელიც ცხინვალის რაიონის სოფელ არცევის მიმღებ პუნქტს ჩაბარდა. თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორა ალბად თავის მძღოლებს დანაშაულისათვის სასჯელს მიუზღავს.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვინ ჯიუტობს?

ქალაქ გორში პურის მაღაზიებს ცალობით გასასყიდი ერთ და ორკილოგრამიანი პური აქვთ. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს კარგი და გემრიელი პური ცხვება, მაგრამ გვაქვს ერთი სასაყვედურო, რომელიც ადვილი მოსაგვარებელია.

არის ხოლმე შემთხვევა, რომ გსურს იყიდო არა ერთი ან ორი კილო პური, არამედ კილოგრამნახევარი ან ნახევარი კილო. მაგრამ ბევრიც სთხოვთ, პურს არ გაჭრიან. რატომ ჯიუტობენ გამყიდველები? ამაზე პასუხს გორვაჭრობის დირექციიდან ველით.

დ. მაუიშვილი,
ინკასატორი.

თვითმოქმედების დათვალიერება

საქართველოს პროფკავშირთა [illegible] ადგენ[illegible] ... ეროვნული [illegible] ... ამაღლების მიზნით და იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახა XXII ყრილობამ მშრომელთა აღზრდის დარგში, 1962 წლის ნოემბრიდან 1963 წლის იანვარამდე ეწყობა პროფკავშირთა მბატეგრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება.

საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მ. ელესაშვილის თავმჯდომარეობით. ადგილებზე იქმნება საოლქო, რაიონული, საქალაქო საფაბრიკო-საქარხნო დამთვალიერებელი კომისიები.

დათვალიერება მოეწყობა სამ ტურად: პირველი ტური — საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში — 1962 წლის ნოემბრიდან 1963 წლის მარტამდე, მეორე ტური — რაიონებსა და ქალაქებში — 1963 წლის აპრილ-მაისში, მესამე ტური — საოლქო და რესპუბლიკური — 1963 წლის ივნის-ივლისში.

რესპუბლიკის საუკეთესო კოლექტივები მოიპოვებენ უფლებას მონაწილეობა მიიღონ მოსკოვში გამართულ საანგარიშო კონცერტებში და დაჯილდოებული იქნებიან საკავშირო პროფსაბჭოს აიმაველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით „პროფკავშირთა მბატეგრული თვითმოქმედების 1963 წლის სრულიად საკავშირო დათვალიერების ლაურეატი“, ხოლო საუკეთესო შემსრულებლები — სამახსოვრო სამკერდე ეტონებით „პროფკავშირთა მბატეგრული თვითმოქმედების 1963 წლის სრულიად საკავშირო დათვალიერების ლაურეატი“. (საქდესი).

დავალება—ვადამდე

ქუთაისი. (საკ. კორ.). მინის ტარის ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღისათვის — 19 ნოემბრისათვის 105,6 პროცენტით შეასრულა თერმომტერული დავალება. დეკემბრის ანგარიშში უკვე გამოშვებულია 2,7 მილიონი ცალი მანის ქილა, დიდძალი ბროლის ჭურჭელი. ქარხანამ საამობლოს გეგმის ზევით მისცა 241.700 მანეთის პროდუქცია.

გახვლილ პერიოდში გეგმასთან შედარებით შრომას ნაყოფიერება გაიზარდა 5,9 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 1,8 პროცენტით. დაზოგილია და ეკონომიის ფონდში შეტანილია 38.000 მანეთი.

წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მაღალნაყოფიერად შრომობენ სამანქანო-საღუმელე, კაჩმის შემდგენი და ბროლის ჭურჭლის საამქროთა კოლექტივები, რომლებსაც ი. კვიტაძე, ვ. გრძელიშვილი და ნ. შათირიშვილი ხელმძღვანელობენ.

ოწონეგა, აღფრთოვანეგა

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქაური მაღაროელები, მშენებლები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია გულდასმით სწავლობენ და მხურვალედ იწონებენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას.

მაღაროს ახალი ითხვისის ნოვატორმა მბურავამ, ლენინის ორდენოსანმა კ. ნადირაძემ თქვა:

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა განიხილა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სასიცოცხლო საკითხები. ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებაში მოცემულია სახალხო მეურნეობის აღმავლობის ნათელი გზები. ეს არის პარტიის ახალი ზრუნვა საბჭოთა ეკონომიკის მძლავრი წინსვლისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ მაღაროელები კიდევ უკეთ ვიშრომებთ, რათა გადაჭარბებთ შეავსრულოთ შვიდწლედის დავალებანი, კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა ეკონომიკა.

— პლენუმის მასალებში მოცემულია სახალხო მეურნეობის მართვის ახალი მეთოდები, — ამბობს პერევისის მაღაროს ელმავლის მემანქანე ალ. მუმლაძე, — რომლებიც დააჩქარებს კომუნიზმისაკენ ჩვენს წინსვლას. ამის პასუხად ყოველდღიურად გამოვიტან მაღაროდან 130 ტონა მარგანეცს, ჩემს პირად შვიდწლედს შევასრულებ ხუთ წელიწადში. ასეთივე ვალდებულებები იკისრეს მაღაროელებმა ბ. ფოფხაძემ, ი. კომლაძემ, მ. სამხარაძემ და სხვებმა.

მოვლინება მკითხველის თხოვნით

იარეგი კვლავ ღია

ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციამ გეგეჭკორის რაიონდან მიიღო წერილი, რომელშიც მხილებული იყო სოფელ კურზუს კოლმეურნეობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები. წერილში აღნიშნული იყო, რომ 1962 წელს დებიტორული დავალიანება შეადგენდა 25.000 მანეთზე მეტს, კოლმეურნეებზე ავანსად ზედმეტად იყო გაცემული 18.000 მანეთზე მეტი. ამავე დროს გასული წლების შრომადღეებზე კოლმეურნეებს ერგებათ რამდენიმე ათასი მანეთი ფულად და ტონობით სიმინდი.

კოლმეურნეობის საწყობში არის პროდუქტების დანაკლისი, ბენზინი გადახარჯულია 11 ტონაზე მეტი. ადგილი აქვს პირუტყვის სულადობის დანაკლისს და სულადობის ზრდის გეგმები არ არის შესრულებული, კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი გაურბის საკოლმეურნეო შრომას, კოლმეურნეობაში აღრიცხვა ქაოსურ მდგომარეობაშია, საკოლმეურნეო ფერმაში მომვლელებს ჰყავთ 10-15 სული საკუთარი პირუტყვი და სხვ.

ამ კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობა შემოსული წერილის საფუძველზე ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისში შეამოწმა ცხაკაიას ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველომ. წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ამასთან დაკავშირებით პარტიის გეგეჭკორის რაიკომის ბიურომ ივნისში განიხილა შემოწმების შედეგები და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი: პირუტყვის არაკანონიერი გზით რეალიზაციისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ბერულავას გამოუცხადა საყვედური, კოლმეურნეობის ფერმის გამგე, ამავე დროს პარტორგანიზაციის მდივანი ო. ჯოჯუა მოიხსნა პარტბიუროს მდივნობიდან და ფერმის გამგის თანამდებობიდან და იგი სკკპ წევრობიდან გადაყვანილ იქნა კანდიდატად. მასვე დაეკისრა კოლმეურნეობისათვის აენაზღაურებინა 19 სული მსხვილფეხა რქოანი პირუტყვის დანაკლისი და ფულადი დავალიანება 660 მანეთი.

ანგარიშწარმოების ჩაშლისათვის, არასწორი ბალანსის წარდგენისათვის ბუღალტერი ნ. კვაშლავა მოიხსნა სამუშაოდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ვ. ნაკუეებიას დაეკისრა დავალიანების — 499 მანეთის გადახდა, ყოფილ თავმჯდომარეს კ. ხარებავას გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით 1.139 მანეთის წლების მანძილზე გადაუხდელობისათვის და დაეკისრა ამ თანხის სასწრაფოდ გადახდა. ფერმის ყოფილ გამგეს ხ. ბერიას გამოეცხადა საყვედური 8 სული პირუტყვის დანაკლისის აუნაზღაურებლობის ათვის.

ამ ღონისძიებათა დასახვის შემდეგ ხუთი თვე გავიდა. „კომუნისტის“ მკითხველი რედაქციას კვლავ აცნობებდა, რომ აღნიშნული ნაკლოვანებანი არ არის გამოსწორებული. რედაქციამ შეამოწმა კოლმეურნეობაში ამჟამად არსებული მდგომარეობა. უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობის ახალ ხელმძღვანელობას მოღებული აქვს ზომები აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად, თუმცა ყველა ნაკლოვანება როდია გამოსწორებული.

მაგალითად, კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს კ. ხარებავას დღემდე არ გადაუხდია 439 მანეთი კოლმეურნეობის სასარგებლოდ, ვ. ნაკუეებიას გადახდილი არა აქვს 499 მანეთი. აღსანიშნავია ის, რომ გასულ წლებში ზედმეტად მიღებული ავანსები ფულად დღემდე არ გადაუხდიათ ა. გაბისონიას, ი. ნაკუეებიას, ა. ბერულავას, ბ. ნაკუეებიას, მაგრი ფონიავას, დ. ბერულავას, ა. ნაკუეებიას, ვ. ნაკუეებიას და სხვ.

მიღებული ზომების შედეგად 25 ათას მანეთზე მეტი დებიტორული დავალიანებიდან 1 ოქტომბრისათვის გადაუხდელი დარჩა მხოლოდ 5.738 მანეთი, ხოლო ზედმეტად გაცემული ავანსებიდან — 5.422 მანეთი. ამასთან ერთად კოლმეურნეობას დღემდე არ გაუშენებია წელს გეგმით გათვალისწინებული 4 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 2 ჰექტარი დაფნა და 2 ჰექტარი ვენახი. არსებული ჩაის პლანტაციის საგრძნობი ნაწილი ეკალ-ბარდით არის დაფარული.

სუსტია შრომის დისციპლინა. წელს საკოლმეურნეო შრომაში სულ არ მიუღია მონაწილეობა ლამარა ნაკუეებიას, ვაკონა ჯოჯუას, ბ. ნაკუეებიას, შ. ფიჩხაიას, ა. ნაკუეებიას, ვ. ესარეთიას და სხვებს. 5-20 შრომადღე აქვთ გამომუშავებული ტ. თოდუას, ლუბა ფირცხელავას, ს. ნაკუეებიას, ლ. ლაშხიას, მ. ნაკუეებიას და მრავალ სხვას.

საჭიროა უფრო ქმედითი და გადამჭრელი ზომების მიღება კოლმეურნეობაში არსებული დარღვევების ბოლომდე გამოსწორებისათვის.

ველის მუვენეგა

ქართლის ველების მშვენებაა ბაქრის ჭარხალი. ბევრგან წელს უხვი მოსავალი მიიღეს. თავი ისახელეს გორის რაიონის სოფელ ზერტის კოლმეურნეობის მეჭარხლეებმა. ზერტელებს 78 ჰექტარზე აქვთ ასაღები ბაქრის ჭარხალი. კოლ

საქმე დასავლეთზეა

ჟენევა, 28 ნოემბერი. (საკდესი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე გამოვიდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, შვეიცარიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები.

სოციალისტური ქვეყნების დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად, როცა დედამიწის ხალხებმა გადაიტანეს კიბისა კარიბის ზღვის რაიონში, რამაც მსოფლიო დააყენა თერმოატომური ომის უშუალო საფრთხის წინაშე. მათ სავსებით დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ წინადადებებს, რომლებიც შეტანილია კომიტეტის განსახილველად. არ არსებობს დიდი სიძნელენი, რომლებიც ახლა აბრკოლებდნენ განიარაღების შესახებ საჭირო შეთანხმების მიღწევას, თქვა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა კ. კურკამ. არსებობს სოციალისტური ქვეყნების კეთილი ნება, არსებობს სსრ კავშირის კონსტრუქციული წინადადებები. საქმე ახლა დასავლეთის სახელმწიფოებზეა. მათ უნდა გამოიჩინონ კეთილი ნება საცვლად იმისა, რომ განგრძონ გამალებული შეიარაღება, როგორც ამას ახორციელებენ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგატის ა. ფ. ჰასანის გამოსვლა მნიშვნელოვანწილად გამოეხმაურა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლებს. კარიბის ზღვის რაიონში წარმოქმნილი მწვავე კრიზისის შემდეგ, თქვა მან, საყოველთაო და სრული განიარაღება ერთადერთი გზაა ომის საფრთხისგან ადამიანობის გადარჩენისა. ინდოეთის სახელმწიფოები უაღრესად დაინტერესებული, რომ ეს პრობლემა რაც შეიძლება მალე გადაიჭრას. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგატმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა ნეიტრალისტურ სახელმწიფოთა მოთხოვნა — შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა 1963 წლის 1 იანვრიდან.

შვეიცარიის წარმომადგენელმა ედბერგმა შეიტანა წინადადება, რომელსაც საფუძვლად უდევს ნეიტრალური ქვეყნების ის საერთო იდეა, რომ ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდა საშუალამდე უნდა შეწყდეს. შვეიცარიის დელეგატის წინადადება ითვალისწინებს მეცნიერთა საერთაშორისო კომისიის შექმნას, რომელიც შეაგროვებს ინფორმაციებს ატომურ აფეთქებათა მსგავსი მოვლენების შესახებ.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ შესაძლებელია მიღწეულ იქნეს შეთანხმება ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის მორატორიუმის შესახებ იმ პერიოდისათვის, სანამ შემუშავდება ყოველისმომცველი შეთანხმება ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის აკრძალვის შესახებ. შვეიცარიის წინადადება უაბლოდ 8 ნეიტრალისტური სახელმწიფოს მემორანდუმს, რომელიც კომიტეტში შეიტანეს მომდინარე წლის 16 აპრილს.

ამერიკის დელეგაციის მეთაურმა ა. დინმა გაიმეორა თავისი წინანდელი წინადადებანი და აკრძნობინა კომიტეტს, რომ შვეიცარის წინადადება მიღებულია შეერთებული შტატებისათვის. მას მხარი დაუჭირა ინგლისის დელეგატმა გოდბერმა.

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში

უცხოეთის ქრონიკა

□ **ვაიმარი** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გაიხსნა გრიპისა და სხვა მწვავე ვირუსულ დაავადებათა სპეციალისტების საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენცია თავის ამოცანად ისახავს გამოცდილების გაზიარებას ამ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მათ წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლის საკითხებზე.

□ **როგორც** ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, კანადის კონცხზე ამერიკის შეერთებული შტატების გამოსაცდელი რაკეტული ცენტრის წინ დაყენებულია პიკეტები იმასთან დაკავშირებით, რომ მექანიკოსთა პროფკავშირმა საერთო ეროვნული გაფიცვა დაიწყო ავიაკომპანია „ლოქჰიდ ეირკრაფტის“ საწარმოებში.

□ **97 ქაცი** დაიღუპა სამგზავრო ლაინერ „ბოინგ-707“-ის კატასტროფის შედეგად. ლაინერი ეკუთვნოდა ბრაზილიის ერთ-ერთ ავიაკომპანიას. კატასტროფა მოხდა ქალაქ ატოკონგოს ახლოს, 20 კილომეტრზე პერუს დედაქალაქ ლიმიდან.

□ **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ვალმა მომდინარე წლის 30 სექტემბრისათვის 29,1 მილიარდ მარკას მიაღწია. ეს თანხა აღემატება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1963 წლისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის ასეთი ზრდის მიზეზია ბონის გამალებული შეიარაღების პოლიტიკა.

(საკდესი).

ინინი სამშობლოში დაბრუნდნენ

კაირო, 28 ნოემბერი. (საკდესი). 200 იემენელი, რომლებიც საუდის არაბეთიდან და შეუერთდა იემენის ეროვნულ არმიას.

როგორც მენის სააგენტოს კორესპონდენტი სანიდან იუწყება, მათ იემენის სამხედრო სარდლობის განკარგულებაში გადასცეს 12 ნაღმსატყორცნი, 200 შაშხანა, 10 ათასი ვაზნა, 200 ტანკსაწინააღმდეგო გრანატი. მთელი ეს იარაღი და საომარი მასალა ამერიკული წარმოებისაა.

იემენში დაბრუნებულ იემენელთა წარმომადგენლები მიიღო პრეზიდენტმა ასსალალმა. საუბრის დროს მათ განაცხადეს, რომ იემენელები, რომლებიც საუდის არაბეთში მსახურობდნენ, მეფე საუდმა გაგზავნა ნაგრაში, რათა იქიდან თავს დასხმოდნენ იემენს.

თავიანთი ანმენაგების სახელით მათ განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ იემენის არაბთა რესპუბლიკას.

ას-სალალის განცხადება

კაირო, 28 ნოემბერი. (საკდესი). ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც რევოლუცია დაიწყო იემენში. მენის საგენტოს კორესპონდენტისათვის ამ შემთხვევის გამო მიცემულ ინტერვიუში იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ასსალალმა განაცხადა, რომ იემენის რევოლუცია წარმატებით ვითარდება, ჩვენ, თქვა ას-სალალმა, ლანგარი ჩავეცით იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს. ახლა ჩვენში შექმნილია პირობები მშვიდობიანი მშენებლობისათვის.

ლონდონი ცვლის თავის ტაქტიკას

ლონდონი, 28 ნოემბერი, საკდესის კორესპონდენტი ე. კორეეევი იტყობინება:

„საერთო ბაზართან“ ინგლისის შეერთების იდეის არაპოპულარობამ, როგორც ჩანს, უფრო იზრდება ინგლისში, აიძულა მაკმილანის მთავრობა სასწრაფოდ შეეცვალა ტაქტიკა, რამაც მაშინვე მოახდინა გავლენა პრესის მთელი რიგი ორგანოების გამოსვლათა ტონზე.

„ტაიმსი“, „დეილი ტელეგრაფი“, „გარდიანი“, „ფაინენშლ ტაიმსი“ დღეს აღნიშნავენ, რომ „საერთო ბაზრის“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაზე, რომელიც დეკემბერში განახლდება, ინგლისის მთავრობა ამიერიდან დაიკავებს უფრო მტკიცე პოზიციას და უწინარეს ყოვლისა ინგლისის სოფლის მეურნეობის გარანტიათა საკითხში. „თუ ექესეული კვლავ შექმნის სინდისელებს, აცხადებს სარედაქციო სტატიაში „ფაინენშლ ტაიმსი“, მოლაპარაკება გაჭიანურდება და შეიძლება ჩაიშალოს კიდეგაც“.

პარლამენტის წევრი კონსერვატორი მორის მაკმილანი, ინგლისის პრემიერ-მინისტრის შვილი, გამოვიდა გუშინ ლონდონში და ამტკიცებდა, რომ ბრიუსელის მოლაპარაკების გაჭიანურების შემთხვევაში ინგლისმა, ალბათ, „უნდა იფიქროს თავის მომავალზე საერთო ბაზრის გარეშე“.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში მიიჩნევთ, რომ ასეთი განცხადებანი მიზნად ისახავენ შთაბეჭდილება მოახდინონ ინგლისის საზოგადოებრიობაზე, აგრეთვე „ექესეულზე“, რომლის წარმომადგენლები შემდეგ კვირაში შეიკრიბებიან კონსულტაციისათვის „საერთო ბაზარში“ ინგლისის მიღების პირობების საკითხზე. „ტაიმსის“ პოლიტიკური მიმომხილველის სიტყვით, მთავრობას სურს მოლაპარაკების ახალი ტურის წინ „გამოასწოროს ევროპაში შექმნილი შთაბეჭდილება, რომ ინგლისი არაფერს დაიშურებს იმისათვის, რომ მიიღონ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში“.

„ფაინენშლ ტაიმსის“ მომხმხილველს მიაჩნია, რომ ინგლისის ჯიუტობამ შეიძლება აიძულოს ევროპის ეკონომიური გაერთიანების ზოგიერთი წევრი ზეგავლენა მოახდინონ საფრანგეთზე, რათა შეარბილონ მისი ურყევი პოზიცია ინგლისის მონაწილეობის გამო „საერთო ბაზარში“.

საერთაშორისო ინფორმაციის ცენტრი სსრ კავშირი

კავკასიელი ხალხების ძმობა

მეცნიერული პროგლემატიკა

კავკასიის უძველესი მოსახლეობის ერთობლივი წარმოშობა და მონათესაურობა დღეს უკვე მეცნიერულად არის დასაბუთებული. საერთო ისტორიული ბედ-იღბალი, ზოგჯერ საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების მსგავსება, ახლო ამოცანების წარმოადგენდა ამ მუდმივად მოქმედ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობდა კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფის მსგავსი ფორმების ჩამოყალიბებას, ამ ხალხთა შორის კულტურულ მონაპოვართა ურთიერთ მიმოქცევას, გაზიარებას.

საუკუნეთა მანძილზე საქართველოს წარმომადგენდა მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყანას და ეს გარემოება განაპირობებდა ქართველი ხალხის მნიშვნელოვან როლს კავკასიელთა კულტურისა და ყოფის მაღალგანვითარებული ფორმების შექმნის პროცესში. ამიტომ არის, რომ ქართველ-კავკასიელთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პრობლემა მუდამ წარმოადგენდა ქართული ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას.

ამ პრობლემის დამუშავების პროცესში დიდი ღვაწლი მიუძღვის იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას, ქართულ ხელოვნებათმცოდნეობას, ისტორიასა და არქეოლოგიას. ქართველ ეთნოგრაფთა მიერაც კავკასიისმცოდნეობის ამ დარგში გარკვეული მუშაობაა შესრულებული. მაგრამ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერების წინაშე დასმული ახალი ამოცანები მოითხოვს კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფის მსგავსი ფორმების უფრო საფუძვლიანად შესწავლას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1962 წლის აპრილის სესიაზე საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად აღიარებული იყო კავკასიის ხალხთა ეროვნული კულტურების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა. ძირითადად ეს პრობლემა უდევს საფუძვლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იკანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობას.

ამ განყოფილებამ წელს პირველად მოაწყო კავკასიის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია. ერთი ჯგუფი მუშაობდა აზერბაიჯანში, მეორე — დაღესტანში, ხოლო მესამე — ინგუშეთში. ისტორიის ინსტიტუტის ამ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ზემოაღნიშნული რესპუბლიკების სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერმა თანამშრომლებმაც.

ექსპედიციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მასალის შეკრება „საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ ატლასთან“ დაკავშირებით, რომლის კავკასიური ნაწილის შედგენა ქართველ ეთნოგრაფებს აქვთ დავალებული. ამ ატლასის ერთ-ერთი თემაა „საცხოვრებელი ნაგებობა“. კავკასიის ეთნოგრაფიული ექსპედიციის აზერბაიჯანის ჯგუფმა (თ. ჩიქოვანი) უაღრესად საინტერესო მასალა მოიპოვა ჰაეკასიური „დარბაზულის“ შესახებ. როგორც ცნობილია, საცხოვრებელი ნაგებობის ეს ტიპი ხალხური სამშენებლო ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ქართველი ხალხის ყოფაში იგი მაღალგანვითარებული ფორმით და მდიდარი მრავალფეროვნებით ისრის რად.

მაგრამ ეს არ არის მხოლოდ თქმულება — ზემოთ დასახელებული ხუთი ძმის ჩამომავლობას ხევსურეთში, თუშეთში, ხევში და ინგუშეთში — ინგუშები ახლაც „ხალხის“ უწოდებენ, ე. ი. ერთი სოფლიდან და ერთი წინაპრისაგან წარმომდგარ ხალხად მიიჩნევენ.

როგორც ირკვევა, ინგუშური წარმოშობისანი არიან ყაზბეგელი ქეშიშვილები (ძველად ქუშთუ ტეიფა) და კარკუქელი მარსაგიშვილები, რომელთა ძოსახლეობა სნოს ხეობაში ჯერ კიდევ XV საუკუნის დოკუმენტებით დასტურდება.

სოციალური ურთიერთობის სფეროდან ყურადღებას იპყრობს რიგი საზოგადოებრივი ინსტიტუტების და სოფლის თავისებურებანი. თავისებურებათა მსგავსება ინგუშებისა და ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის სათანადო მონაცემთა შორის მრავალმხრივ საყურადღებო დასკვნების გაკეთების საფუძველს ქმნის.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს უწინარეს ყოვლისა ინგუშური სოფელი. ძირითადად საზოგადოებრივ-ეკონომიურ ერთეულს ინგუშეთში, ისევე როგორც საქართველოს მაღალმთიანეთში, ძველად წარმოადგენდა ხეკი („ჟოჩ“), რომელიც რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა. ეს სოფლები ხშირად მონოგენური იყო და ეპონიმის სახელს ატარებდა. თვითეულ ამ სოფელს ჰქონდა თავისი თავმესაყარი ადგილი, ამ ადგილს ინგუშურად ეწოდება ფელ, რაც ხევსურული საფეფნოს სრულ შინაარსობლივ ანალოგს წარმოადგენს. შედარებისათვის შეიძლება აქვე იყოს მოტანილი თუშური საანჯმო, სვანური ლანყაკ, რაჭული სანსახშო. მთხევური სალაყმო, ოსური ნიხას, ბალყარული ნიღაშ და სხვა.

ბოლოს ორიოდე სიტყვა ხევსურულ-ინგუშური ურთიერთობის შესახებ ხალხურ რწმენა-წარმოდგენათა სფეროში. ამ მხრივ ღსანიშნავია ალმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შორის ძველად ფართოდ გავრცელებული დღეობა ათეგენობა, რომელიც იკლისში იმართებოდა. ინგუშეთში სოფელ ხულიდან ათიოდე კილომეტრის დაცილებით, კლდეში ახლაც მიუთითებენ გამოქვაბულს, რომელსაც ათენგენკა ეწოდება. დადგენილია, რომ ძველად აქ ინგუშები თავს იყრიდნენ დღეობახე. მოჰკონდათ რიტუალური პურები, ირაყი; დიდ ქვაბებში, რომლებიც ხევსურული სალდე ქვაბის მსგავსია, ხარშავდნენ ღუდს. სწირავდნენ საკლავს და ფელა-ს (ღმერთს) შეწევნას სთხოვდნენ. აქ კარგად ჩანს, რომ ინგუშების დღესასწაულის სახელწოდება როგორც მნიშვნელობით, ისე ეზობრივად საესებით უპასუხებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფისათვის დამახასიათებელ სათანადო მოვლენებს, რომლის პარალელები ცნობილი.

ქრისტიანობა ინგუშეთში საქართველოდან შევიდა, მაგრამ შემდეგში ინგუშებმა მაპმადის რწმენა მიიღეს. მუსლიმან ინგუშებსა და ქრისტიან ხევსურებს შორის ყველაზე უკომპრომისო რელიგია ჩანდა. ხევსურებმა და ინგუშებმა საერთო დღესასწაულის სახით წარმართული ათენგენობა შემოინახეს. ეს დღეობა გვნიკუთვნება კავკასიის ხალხთა გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელ წინაქრისტიანულ და წინაისლამურ დღეობებს, რომლის განდევნა ამ ხალხების ყოფიდან ვერც ერთმა ოფიციალურმა რელიგიამ ვერ შეძლო.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ერთხელ კიდევ მოითხოვენ კრიტიკულად გადაფასდეს ძველი შეხედულები, თითქოს კავკასიონის ქედი ყოფდა და აცალკევებდა ამიერ და ამიერ კავკასიის მთიელებს. ინგუშეთ-ხევსურეთის გადასასვლელები მხოლოდ მცირე ნაწილია დიდი და დეტალურად დამუშავებული კომუნიკაციების სისტემისა, რომელიც მთელი კავკასიონის ქედს მოიცავდა და საუკუნეთა მანძილზე ხელს უწყობდა ამ ქედის გაყოლებით, მის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე მობინადრე ხალხების დაახლოებას.

რუსუდან ხარაძე.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

პოლიტიკური დავა გრძელდება

ბონი, 28 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება: მთავრობის კრიზისი ბონში ახალ ფაზაში შედის, რომლის ცენტრალური ფიგურა თავდაცვის მინისტრი შტრაუსი კი აღარ არის, არამედ თვითონ კანცლერი ადენაუერია. რაც შეეხება შტრაუსს, ამჟამად მთელი მეცადინეობა ბონში ფაქტიურად იმას ხმარდება, რომ უზრუნველყონ მისი „სპასტიო“ წასვლა პოლიტიკური სარბაილიდან.

ამავე დროს კაბინეტის კრიზისმა კვლავ მთელი სიმწვავით დააყენა მომავალი კანცლერის საკითხი. იმის გამო, რომ გაგრძელდა მთავრობის კრიზისი, ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ადენაუერი ჩქარობს რაც შეიძლება მალე შექმნას ახალი კაბინეტი.

ადენაუერის პარტიის ხელმძღვანელობა კვლავ შეეცადა ზეგავლენა მოახდინოს თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაზე, მიანიჭა ადენაუერს სრული უფლებანი აწარმოოს მოლაპარაკება მთავრობის კოალიციის შექმნის შესახებ არა მარტო თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან, არამედ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთანაც. „თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მიმართ ამ შანტაჟში ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ“, — განაცხადა პასუხად გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ოლენჰაუერმა თავისი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე. მან ხაზი გაუსვა, აგრეთვე, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ სურს დარჩეს უმცირესობის კაბინეტი, ესე იგი მთავრობა, რომელშიც შედიან მხოლოდ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წევრი მინისტრები, და კვლავ მოითხოვს, რომ აუცილებლად მოშორონ მთავრობიდან შტრაუსი.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომამ, რომელიც ბონში გაიმართა, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ეს პარტია არ შეავა კაბინეტში, თუ იქ დარჩება თავდაცვის მინისტრი შტრაუსი. თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მტკიცე პოზიციი, ბონის პოლიტიკური წრეების აზრით, თითქმის მთლიანად ართმევს ადენაუერს ტაქტიკური მანევრირების შესაძლებლობას და მკვეთრად აძნელებს მის მისიას როგორც მთავრობის შექმნის დარგში, ისე იმ ცდებში, რომ აღიდგინოს თავის პარტიას შერყეული პრესტიჟი.

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ აქ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის შენობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედლაი სტევენსონს, კუბის საკითხის მოწესრიგების ამერიკის-საკორორდინაციო კომიტეტის ხელმძღვანელს ჯონ მაკლოისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს ალი ბოიდელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩარლზ იოსტს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილების გამგის მოადგილემ ლ. ი. მენდელევიჩმა.

საუბარი შეეხებოდა კარიბის ზღვის რაიონში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის მოწესრიგებას.

შეხვედრა ნიუ-იორკში

პეკინი, 29 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ვიეტნამში გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე ლაოსის შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის გაერთიანების შესახებ, იუწყება სინხუას საგენტო.

ერთობლივ კომუნიკეში, რომელსაც ხელი მოაწერეს სამი პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლებმა — ლაოსის დროებითი კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა სუვანა ფუმამ, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ სუფანუვონგმა და პრემიერ-მინისტრის მოადგილის ფუმი ნოსავანის დაკალებით — საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის მინისტრმა ნგონმი სანანიკონემ, — ნათქვამია, რომ სამმა მხარემ გადაწყვიტა შექმნას გაერთიანებული ეროვნული არმია 30 ათასი კაცის შემადგენლობით. ამ არმიაში შეავა ამჟამად არსებული სამი არმიის ჯარისკაცთა თანაბარი რაოდენობა. გარდა ამისა, გადაწყვეტილია შექმნას ერთიანი ეროვნული პოლიცია ექვსი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელშიც თანაბრად შეკენენ სამივე მხარის პოლიციელები. მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება, რომ შეიქმნას სპეციალური პოლიცია, რომელიც უზრუნველყოფს უშიშროებას ლაოსის დედაქალაქ ვიენტიანში.

ერთობლივი კომუნიკე

პარიზი, 28 ნოემბერი. (საკდესი). ალჟირის 1961 წლის აპრილის სამხედროფაშისტური პუტჩის ერთ-ერთი მეთაური ყოფილი გენერალი ჟუო და ოას-ელი ტერორისტი ანდრე კანალი, რომლებსაც სიკვდილი მიესაჯათ, შეიწყალა საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა. დღეს პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოცხადდა.

დამნაშავენი შეიწყალეს

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

პარიზი, 29 ნოემბერი. (საკდესი). საფრთაშორისო მდგომარეობა და საფრანგეთის პოლიტიკური ვითარება ეროვნული კრების არჩევნების შემდეგ — ამ საკითხებს მიეძღვნა ძირითადად მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელიც გუშინ გაიმართა. როგორც პრესის წარმომადგენლებს ინფორმაციის მინისტრმა ჟ. ფუშემ აცნობა, გენერალი დე გოლი მთავრობის საბჭოს „ამაყოფილება გამოთქვა“ პარლამენტის არჩევნების შედეგების გამო.

პარიზის პოლიტიკურ წრეებში უურადღებას აქცევენ იმას, რომ ამჟამად საფრანგეთში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა პრემიერ-მინისტრს არა ჰყავს მოსაგრძა. დათანხმდა რა პომპიდუს მთავრობის გადადგომას, გენერალმა დე გოლმა დანიშნა იგივე პომპიდუ პრემიერ-მინისტრად და დაავალა მას წარუდგინოს ახალი მთავრობის წევრთა სია პარლამენტის პირველი სესიის გახსნისათვის. ამრიგად, უსამზოდ დარჩენილმა მინისტრებმა მონაწილეობა მიიღეს გუშინ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაში.



ქენევა, 29 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს ერების სასახლეში გაიმართა სამი სახელმწიფოს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ს. კ. ცარაპკინის თავმჯდომარეობით.

როგორც ცნობილი გახდა, დასავლეთელ დელეგატებს ქვეკომიტეტის გუშინდელ სხდომაზე არ წამოუყენებიათ რაიმე ახალი წინადადება, რომელიც ადგილიდან დაძრავდა მოლაპარაკების მსვლელობას. ამერიკის დელეგატმა ა. დინმა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ჯ. გოდბერმა, ისევე როგორც წინა სხდომებზე, ყოველმხრივ ადიდეს თავიანთი წინადადებანი და დაჟინებით მოითხოვეს მიღებულ იქნეს სისტემა საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციისა ადგილებზე.

საბჭოთა წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ დასავლეთის წინადადება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში მიუღებელია საბჭოთა კავშირისათვის, იმისათვის, რომ ადგილიდან დაიძრას მოლაპარაკებამ, საჭიროა დასავლეთმა ანგარიში გაუწიოს საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც ეს ქნა საბჭოთა კავშირმა. თავის გამოსვლაში ს. კ. ცარაპკინი შეეხო აგრეთვე შვეიცარის წარმომადგენლის წინადადებას, რომ შეიქმნას მეცნიერთა საერთაშორისო კომისია, რომელიც შეაგროვებს ინფორმაციას ატომურ აფეთქებათა მსგავსი მოვლენების შესახებ. ეს წინადადება მან გუშინ შეიტანა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში. ჩვენ, თქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, შვეიცარიელთ შვეიცარის წინადადებას, მაგრამ როგორც უკვე განაცხადა საბჭოთა დელეგაციამ ჯერ კიდევ ამ 7 თვის წინათ, საბჭოთა კავშირი მიიღებს რეა ნეიტრალისტური სახელმწიფოს მემორანდუმს, რომლის თანაავტორი შვეიცარია. თუ შვეიცარის წინადადებას შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი შეესაბამება დებულებებს, რომელთაც შეიცავდა ნეიტრალისტურ სახელმწიფოთა ამა წლის 16 აპრილის მემორანდუმი, მაშინ, ეფიქრობ, არ შეეცდები, თუ განვაცხადებ, რომ ამ წინადადებას მივესალმებით.

ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართება ამა წლის 4 დეკემბერს.

კოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. კრუეკეცეს (პოზნანის საკოეკოდო) ცხიმეულის კომბინატი საკვები ცხიმების ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა ევროპაში. სურათზე: მარგარინის ქარხნის კორპუსები.

ფოტო ცაფ-საკდესისა.

სამი სახელმწიფოს ქვეკომიტეტში

ჟურნალი „ლაიფი“ არც თუ იშვიათად თავის ფურცლებზე მკითხველებს მოუთხრობს ისეთ უცნაურ ამბებს, რომლებიც თვით ამერიკელებს აოცებს და მათს ირონიულ ღიმილს იწვევს.

ასე მოხდა ამას წინათაც, როდესაც ჟურნალმა მკითხველს გააცნო მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ადამიანის მულტიმილიონერ ჰოვარდ ჰიუზის ცხოვრება.

ჰიუზი ამერიკაში ცნობილი სამხედრო მრეწველია. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ლოკჰიდის საავიაციო ფირმასთან, რომელიც, სხვათა შორის, ამზადებს ჭაშუშ თვითმფრინავებს „უ-2“.

კარჩაკეჯილი მულჯიმილიონერი

დოლარის ქვეყანაში

ეი რამდენიმე საგულისხმო ცნობა, რომლებსაც ჟურნალში ვკითხულობთ: მისი სიცოცხლე დაცულია უშიშროების ისეთი საშუალებებით, როგორსაც, ალბათ, მოკლებულია რაკეტების სახტარტო მოედნები. ჰიუზი, რომელმაც არ იცის რა არის ძილი, ყველასათვის მიუწვდომელი მართავს თავის ფანტასტიკურ, ბრძოლებში გამოწრთობილ ფინანსურ იმპერიას...

ჰიუზის რეზიდენცია მდებარეობს ბელ-ერში — ლოს-ანეელესის ყველაზე კომფორტულ გარეუბანში. სახლს გარს არტყია ბეტონის მაღალი გალავანი, რომელსაც დეტექტივების მთელი არმია იცავს.

გასაკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ მილიონერის უახლოეს თანამშრომლებს მისი ნახვის საშუალებაც კი არა აქვთ. ტრანს-უორლდ ეირლაინის ვიქილი ერთხელაც არ შეხვედრია თავის შეფს, რომელთანაც უკვე მეორე წელია მუშაობს.

ჰოვარდ ჰიუზი განკარგულებებს თავისი კაბინეტიდან ტელეფონით იძლევა, ისიც უმთავრესად ღამის საათებში. იგი საერთაშორისო ცხოვრებას მხოლოდ ტელევიზიით ეცნობა.

56 წლის მულტიმილიონერი შიშს შეუპყრია, დაშინებულია განგსტერებმა არ გამძარცვონო და ამიტომ მრავალრიცხოვანი დაცვა ჰყავს. ეშინია ინფექციისა — ამიტომ სახლში ფანჯრებისა და კარების გაღებას კრძალავს. ეშინია მოწამვლის — ამიტომ სპეციალური საკმელს უმზადებენ. პროდუქტებს ინახავენ სპეციალურად მოსთვის განკუთვნილ მაცივარში, რომელსაც მისი ცოლიც ვერ ახლებს ხელს.

როდესაც ჟურნალი „ლაიფი“ ამ ექსცენტრიკულ მილიონერზე წერს, იქვე გაკვრით აღნიშნავს, რომ მან თავისი იმპერია კონკურენტთა შეუბრალებელი გაკეთილით შეაკოწიწა და ალბათ იმიტომ იღებს სიფრთხილის ყველა საშუალებას, რომ კარგად იცის თავის უოლსტრიტელ მეტოქეთა ზნეჩვეულება.

მეცნიერება და ტექნიკა

ფერმენტების ახალი „პროფესიები“

ჩვენს წინაშეა მონაცრისფრო ფხვნილი. ეს არის ფერმენტი, რომელსაც შეუძლია რამდენიმე ათჯერ, ასჯერ და ათასჯერაც კი დაარჩაროს, მაღალი ტემპერატურისა და წნევის გვერდის ავლით, ზოგიერთი ქიმიური რეაქცია.

სახალხო მეურნეობაში სულ უფრო ხშირად იყენებენ ფერმენტებს, რომლებსაც სხვადასხვა მასაზრდოებელ არეში გამოყვანილი ბევრი სახეობის სოკოს საშუალებით იღებენ. აი ზოგიერთი მაგალითი.

პურია თუ ნაზუქი?

ჭვავის პურს სასიამოვნო შესახედაობა, გემო და არომატი რომ მისცენ, ცომში ჩვეულებრივ უმატებენ ალაოს, რომელსაც გაღივებული მარცვლიდან იღებენ. ეგრეთწოდებული „წითელი“ ალაოს მისაღებად საჭიროა 10-12 დღე.

პურის ცხობის მრეწველობის ინსტიტუტში შეიმუშავეს როგორც ჭვავის, ისე ხორბლის პურის ფერმენტების დახმარებით ცხობის ახალი წესები. ფერმენტები საფუარსა თუ ცომში შეაქვთ მეტად მცირე რაოდენობით—ფქვილის მთელი წონის სულ ორი მეათასედი პროცენტი. ეს სავსებით საკმარისია, რომ ცომი გაცილებით უფრო მალე „მომწიფდეს“. ასეთი ცომიდან გამომცხვარ ნაკეთობას თაფლის არომატი ეძლევა და სასიამოვნო დაბრაწული ქერქი უკეთდება. გემოთი კი პური ნაზუქს მოგვაგონებს. ცხობის ამ ახალ წესზე მალე გადავა მოსკოვის რამდენიმე

ნახტომი ციდან

ჩვენი გაზეთის მკითხველები გთხოვენ ვრცლად მოგვთხროთ იმ გმირობის შესახებ, რომელიც ჩაიდინეს საბჭოთა პარაშუტისტებმა კოლკოვნიკმა პ. დოლგოვმა და მაიორმა ე. ანდრეევმა.

მგეგმავთ მათი თხოვნით მოსკოველი ჟურნალისტების ვ. გავრილინისა და ლ. შმონინის ფურცლს. მკითხველთა თხოვნით უახლოეს დღეებში დაგეგმავთ ფურცლებს ბელგიროდელი პარაშუტისტი ქალიშვილის ვ. ტკაჩენკოსა და მფრინავის ი. კუნიცინის გმირობის შესახებ.

„აეროსტატი. სიმაღლე 25 ათასი მეტრი. 61 გრადუსი ყინვა“... ივსება ცნობებით კორესპონდენტთა უბის წიგნაკები.

ორი საათია ვესაუბრებით პარაშუტების გამომცდელს, სსრ კავშირის სპორტის ოსტატს მაიორ ევგენი ნიკოლოზის-ძე ანდრეევს ახალი მსოფლიო რეკორდის შესახებ. ოთახში შემოდიან მფრინავები, პარაშუტისტები, გვეუბნებიან:

— დრო დოლგოვის ოჯახში წავიდეთ. იქ მეგობრები და ნათესავები გვიცდიან.

— ჰო, დრო — ამბობს ანდრეევი, — და თან უმატებს, — კარგი იქნება, თუ ჩვენს მეგობარ პარაშუტისტზე დოლგოვზე დაწერთ.

პოლკოვნიკი პ. დოლგოვი.

მაიორი ე. ანდრეევი.

პეტრე ივანეს-ძე დოლგოვი... რამდენიმე დღის წინათ ამ გვარმა, სამგლოიარო ჩარჩოში ჩასმულმა, გაიელვა გაზეთების ფურცლებზე. დიახ, ჩვენს ქვეყანაში ცნობილი პარაშუტისტი - გამომცდელი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მსოფლიოსა და სსრ კავშირის რეკორდმენი, დაიღუპა რთული ამოცანის შესრულების დროს, რომელსაც იგი ასრულებდა ანდრეევთან ერთად. ევგენი ნიკოლოზის-ძე ცდილობს რამდენიმე წუთში მოგვითხროს პ. ი. დოლგოვის ცხოვრების შესანიშნავ გზის შესახებ. ჩვენ ჩავიწერეთ მისი ნათქვამი.

...მიწა ახლოვდებოდა საოცარი სისწრაფით. 30 წამი ვარდნა, და ჩვენ მიწის ზედაპირზე აღმოვჩნდებოდით. 30 თავბრუდახვევი წამი, პარაშუტისტი კი აგრძელებდა ვარდნას სავარძელთან ერთად. მთელი ძალისა და ნებისყოფის დაძაბვით დოლგოვმა თვალის დახამხამებაში სავარძელზე შეიმაგრა თავი, მისაბმელი ღვედი, რომელიც სათადარიგო პარაშუტის კარაბინს წამოედო, გაათავისუფლა და განზე გაიწია. იმავე წუთს მოახერხა სათადარიგო პარაშუტის გახსნა.

რამდენი ასეთი სახიფათო და მძიმე გადმოხტომა ჰქონია დოლგოვს! პარაშუტების გამომცდელს არც ერთხელ არ გადაუხვევია წესისათვის: მოიქეცი ისე, რომ იმისთვის, ვინც შენს უკან არის, გადმოხტომა ადვილი და უსაშიშრო იყოს. დოლგოვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ მეთოდების შემუშავებაში, რომლებმაც საშუალება მისცეს საბჭოთა კოსმონავტებს საიმედოდ დაშვებულიყვნენ დედამიწაზე კოსმოსური ხომალდ „აღმოსავლეთიდან“.

ჩვენ ვკითხეთ ანდრეევს, თუ რა მონაწილეობა მიიღო მან დიდი სიმაღლეებიდან გადმოხტომის ტექნიკისა და მეთოდის შემუშავებაში.

— ათეული ნახტომი გავაკეთე პარაშუტით კოტაუსტირების მეთოდის გამოყენებით, ვეძებდი დიდ სიჩქარეზე თვითმფრინავიდან უსიფათოდ გადმოხტომის მეთოდს. ევგენი ნიკოლოზის-ძემ მოგვითხრო. თავის სარეკორდო ნახტომზე, რომელიც მან 25 ათას მეტრზე მეტ სიმაღლიდან გააკეთა, ადრე ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი ვერ შეძლებს დიდი სიმაღლიდან ვარდნისას თავისი სხეულის დამორჩილებას, გარდუვალია თავბრუდახვევა, ტვინში სისხლის ჩაქცევა. საჭიროა სტაბილიზებული პარაშუტით სარგებლობა. მაგრამ ავიაციის საერთაშორისო ფედერაცია კრძალავს ამგვარი პარაშუტის გამოყენებას.

აი როგორ მოხდა ყველაფერი. მზიანი დილა იყო. დიდი ვოლგა უხმაუროდ მიაგორებდა ტალღებს. ვოლგისპირა ქალაქის ბოლოს, ვეშტერთელა აეროსტატ „ვოლგასთან“ შეიკრიბნენ მფრინავები, ინჟინრები, პარაშუტისტები. უცნაურ გზაზე მიაცილებდნენ თავიანთ მეგობრებს ე. ანდრეევსა და პ. დოლგოვს, რომლებიც ჩაცმული იყვნენ „ზემონადირულ“ ყაიდაზე. ჩექმები, შარვლები, ტანსაცმელი — ყველაფერი ბეწვისა ჰქონდათ.

პარაშუტისტები ავიდნენ აეროსტატ „ვოლგის“ კაბინაზე. ავიდნენ ჰაერის ოკეანეში. მათ მიაცილებდა სსრ კავშირის გმირი პოლკოვნიკი ვასილი გრიგოლის-ძე რომანიუკი, ვეებერთელა ბურთობძა უნდა აიყვანოს ისინი წინასწარ გამიზნულ კოორდინატებზე საჰაერო ოკეანეში. მათ ჰქონდათ რადიოკავშირი დედამიწასთან. იძლეოდნენ ცნობას მოწყობილობის მუშაობის, ეკვატორიალური ჰაერის ტემპერატურის შესახებ.

2 საათსა და 20 წუთს გრძელდებოდა პარაშუტისტთა ასვლა „ჭერამდე“. ფრენის დროს დოლგოვი და ანდრეევი გონდოლის სხვადასხვა ადგილას იყვნენ და ერთმანეთთან რადიოკავშირი ჰქონდათ. სიმაღლისმზომი 25 ათას მეტრს უჩვენებდა. კიდევ რამდენიმე ასული მეტრი და „ვოლგის“ სტუმარმოყვარე „ბინა“ პირველმა დატოვა ანდრეევმა. მას ეცვა სპეციალური კოსტიუმი, რომელიც იცავდა ჰაერის დაბალი წნევისაგან, მის სახეს სტრატოსფეროს ყინვისაგან იცავდა ბერმეტიული საფარდური. გადმოხტომის წინ დოლგოვმა დედამიწაზე კეთილად დაშვება უსურვა ანდრეევს. თვითონ დოლგოვი, რომელიც გვიან გადმოხტა, დალუპა ჰაერში, დაიღუპა სამშობლოსათვის, მეცნიერებისათვის.

— ეს იყო ჩემი 1510-ე გაფრენა,— განაგრძობს ევგენი ნიკოლოზის-ძე, — ჯერ მსოფლიოს არც ერთი სპორტსმენი არ გადმომხტარა ამ სიმაღლიდან. ოცდაოთხი ათას მეტრს პარაშუტის გაუხსნელად ვვარდებოდი ცოდან. ჯერ პირადმა, შემდეგ თავდადმა, ფართოდ გაშლილ ხელებს სჯედ ვხმარობდი. ფეხები თითქმის ერთად მქონდა. ჯერ ვეშვებოდი საათში 900 კილომეტრის სისწრაფით, ცხადად ვხედავდი იისფერ ცას და ლურჯ ჰორიზონტს. ყანების კვადრატებს და ვოლგის ვერცხლისფერ ძაფს. მიწამდე 1500 მეტრი რჩებოდა. მოვსინჯე პარაშუტის რგოლი და რამდენიმე წამში გავხსენი პარაშუტი, მიწამდე 800 მეტრი რჩებოდა. მშვიდობით დაეშვი. მეხვეოდნენ მეგობრები. სულ ეს არის... დამთავრა ევგენიმ საუბარი.

ევგენის საინტერესო ბიოგრაფია აქვს. 15 წლისა იყო, ქარხანაში შეკეთებული ტანკით ფრონტზე გაქცევა რომ გადაწყვიტა. შუა გზაზე გაჩერეს და ურჩიეს უკან დაბრუნებულიყო. ჯარში მაინც წავიდა, მაგრამ ფრონტზე არ ყოფილა. ომი რომ დამთავრდა, პირველი გადმოხტომა პარაშუტით მაშინ შეასრულა ევგენიმ. მალე ახალგაზრდა პატრიოტს პარაშუტების გამომცდელის პროფესია შესთავაზეს. ევგენი სიხარულით დათანხმდა.

იგი ხტებოდა ცოდან, ეშვებოდა ტყეებზე და წყალზე, დღისით და ღამით, ზამთარ-ზაფხულ; დოლგოვი და მე ერთ-ერთი პირველნი ვიყავით იმათ შორის, ვინც რეაქტიული თვითმფრინავებიდან გადახტა კატაპულტირების წესით. ევგენის ასეთი შემოხვევაც ჰქონდა. მსოფლიო რეკორდის დაშვარებას აპირებდა, და დახეთ უბედურებას, ფეხი მოიტეხა. მოსკოვს აფრინეს სოპერაციოდ. 20 საათი გასტანა ოპერაციამ ნახევარი წელიწადი იწვა ჰოსპიტალში. როდესაც გამოჯანსაღდა, მარჯვენა ფეხი მარცხენაზე რამდენიმე სანტიმეტრით მოკლე ჰქონდა. ევგენი ახლა ხუმრობს, ჰოსპიტალიდან სამი ფეხით — ორი უკვარჯვით და ერთი ხალი ფეხით დავბრუნდიო.

მეგობრები დაეხმარნენ ევგენის; ხელი მოკიდა ტანვარჯიშსა და მძლეოსნობას. რამდენიმე კვირაში უკვარჯნები გადაგდო, ჯოხი დაიჭირა. მალე თავისუფლად დაიწყო სიარული. ხელი მიჰყო აკრობატიკას, მონაწილეობდა ცოცხალ ეკრანში, თამაშობდა კალათბურთს, ფრენბურთს.

გავიდა წელიწადი. ექიმებს არ სჯეროდათ, რომ ფეხები ხალი ჰქონდა ევგენის.

და, ოი საოცრებავ, კომისიის თვალწინ ევგენიმ გააკეთა აკრობატული მარყუჟი — ერთი, მეორე, მესამე... მერე სატანვარჯიშო მოედანზე გააცა ექიმები.

დიდმა შრომამ, შეუპოვარმა ვარჯშმა თავისი გაიტანა.

ანდრეევმა კვლავ დაიჭირა ადგილი სამხედრო პარაშუტისტთა შორის. მან გაამართლა იმედები. მან მოუტანა საბჭოთა კავშირს გაუგონარი მსოფლიო რეკორდი.

ვ. გავრილინი,
ლ. შმონინი.

ვ. კორჩნოი — ტურნირის ლიდერი

ერევანი. 29 ნოემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). საბჭოთა გროსმაისტერებმა და ოსტატებმა, რომლებიც ერევნის XXX საიუბილეო საჭადრაკო ჩემპიონატზე გამოდიან, პირველობის დაახლოებით მესამედი გზა განვლეს. ეს იყო მძაფრი და სიუპრაიზებიანი სტარტი, სადაც თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს მოავალ ბრძოლაში გამოწრთობილმა გროსმაისტერებმა.

ექვსი ტურის შემდეგ ღღეს ერევნის ფილარმონიის დიდ დარბაზში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ბრძოლის განუახლებლად ვ. მიკენასი დანებდა სსრ კავშირის ჩემპიონს ბ. სპასკის. გროსმაისტერმა რ. ხოლმოვმა, რომელსაც უპირატესობა ჰქონდა გ. ხოდოსის წინააღმდეგ, პარტია თავის სასარგებლოდ დამთავრა. მეორე გადადებულ პარტიაში რ. ხოლმოვმა ყაიმს მიაღწია ა. ზაიცევთან. ყაიმი იქნა ფიქსირებული აგრეთვე ა. სუეტინ - ა. ზაიცევის გადადებულ პარტიაში.

ღღეს გათამამდა აგრეთვე ორი გამოტოვებული პარტია. მესამე ტურიდან გამოტოვებული პარტია ვ. მიკენასსა და ა. კორეოლუს შორის წარიმართა ვ. მიკენასის უპირატესობით და გაიმარჯვა. მეხუთე ტურიდან გამოტოვებული პარტია ა. ბანიკსა და გროსმაისტერ მ. ტალიმანოვს შორის ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი გამოტოვებული და გადადებული პარტიები არ გათამამებულა.

ექვსი ტურის შემდეგ ჩემპიონატის მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ლიდერია გროსმაისტერი ვ. კორჩნოი, რომელსაც 5 ქულა აქვს. მ. ტალიმანოვს 4 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია აქვს, მ. ტალსა და რ. ხოლმოვს — ოთხ-ოთხი ქულა. ა. ბანიკს — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ი. კოცს, ვ. შიანოვსკისა და ა. სუეტინს — 3,5 ქულა თვითეულს, ვ. მიკენასსა და ლ. შტეინს — სამ-სამი ქულა, ბ. სპასკის — 2,5 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია, ლ. არონინს, ა. ზაიცევს, ნ. კოროგიუსს და ა. ნოვოპაშინს — 2,5 ქულა თვითეულს, ი. ზაიცევსა და ვ. სავონს — ორ-ორი ქულა, ა. კორეოლუს — 1,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, გ. ხოდოსს — 1 ქულა და 2 გადადებული პარტია, ე. მნაცაკანიანს — 1 ქულა.

30 ნოემბერს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ. 1 დეკემბერს შედგება მეშვიდე ტური.

ა. კოტოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ექვსი შესაძლებლიდან ექვსი ქულა

რიგის სპორტის მოყვარულები დიდი საჭადრაკო პაექრობის მოწმენი არიან. აქ ერთ კვირაზე მეტია მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის, რომელიც თავისი შემადგენლობით და შემოქმედებითი ბრძოლის მრავალფეროვნებით არც ერთ წინა ჩემპიონატს არ ჩამოუვარდება.

ტურნირისათვის საუკეთესოდ მომზადებული აღმოჩნდა საერთაშორისო ოსტატი ლარისა ვოლპერტი, რომელმაც ბრძოლის დაახლოებით ერთი მესამედი განვლო და ტრიუმფალური ნაბიჯით მიიწევს წინ. საკმარისია ითქვას, რომ მას ჯერ არათუ დამარცხება არ უგემნია, არამედ ყაიმითაც არ დაუმთავრებია პარტია.

ლიდერთა რიგებში ვერ ვხედავთ სსრ კავშირის ჩემპიონს ვ. ბორისენკოს. არასახარბიელო მდგომარეობა აქვთ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ე. კაკაბაძესა და ა. ჩაიკოვსკაიას.

28 ნოემბერი განკუთვნილი იყო გადადებული პარტიების დამთავრებისათვის. როგორც ცნობილია, ლ. ვოლპერტს ერთი პარტია ჰქონდა გადადებული უკეთეს პოზიციაში. მეტოქემ იგი ბრძოლის განუახლებლად დათმო.

სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ ლ. ვოლპერტი დგას. 6 შესაძლებლიდან მას 6 ქულა აქვს. კ. ზვორიკინას, ზ. ნახიმოვსკაიას, ლ. იაკირს ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

გუშინ ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს გაიმართება მეშვიდე ტური.

28 ნოემბრის მატჩებით ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა კოლექტივებმა კიდევ თითო ნაბიჯი გადადგეს საკავშირო ჩემპიონატის ფინიშისაკენ.

მორიგ ტურში პირველობის მთავარ პრეტენდენტს მოსკოვის „დინამოს“ მატჩი ჰქონდა ჩემპიონატის ერთ-ერთ ძლიერ კოლექტივთან ლენინგრადის „სპარტაკთან“. მაღე ინიციატივა ხელთ იგდეს დინამოელებმა, მათ ზედიზედ მიიტანეს ეირი-ში მოწინააღმდეგის კარზე და წარმატებასაც მიაღწიეს. ლიდერმა — მოსკოვის „დინამომ“ გათამამების ცხრილში კიდევ ორი ქულა ჩაიწერა, მოიგო მატჩი ანგარიშით 4 : 1.

ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტი თბილისის „დინამო“ თამაშობდა ლვოვის დინამოელებთან. აქაც ბრძოლა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის უპირატესობით წარიმართა. თბილისელებმა მოწინააღმდეგის კარში 3 ბურთი გაიტანეს, აკაუთარ კარში კი მხოლოდ ერთი ბურთი მიიღეს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის წყალბურთელები უკანასკნელ მატჩებში წარუმატებლობის შემდეგ შეხვდნენ ლენინგრადის „ბალტიკას“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3 : 1. წარმატებით იბრძოდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დედაქალაქის „შრომითი რეზერვების“ წინააღმდეგ. გიმარჯვეს სტუდენტმა წყალბურთელებმა. აქაც ფიქსირებულ იქნა ანგარიში 3 : 1.

პირველობის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. აი როგორ გამოიყურება დღეისათვის სატურნირო ცხრილი:

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 ნოემბრისათვის

	მ.	შ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ)	11	0	0	34—12	22
„დინამო“ (თბ.)	9	1	1	31—7	19
ვ მ ფ	5	3	3	28—18	13
სახ. უნივ. (მ.)	5	3	3	21—16	13
„სპარტაკი“ (ლ.)	2	5	4	19—28	9
„დინამო“ (ლვ.)	2	2	7	18—29	6
„ბალტიკა“ (ლ.)	1	1	9	13—31	3
„შრ. რეზ.“ (მ.)	0	3	8	17—40	3

სპორტული ქრონიკა

◆ **საბჭოთა** კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა ტურნე კანადაში. მსოფლიო ჩემპიონატის წინ ჩვენი სპორტსმენებისათვის ეს გამოსვლები კარგი წვრთნა, გენერალური რეპეტიცია იყო. საბჭოთა ნაკრებმა კიდევ ერთი მატჩი მოიგო კანადაში ანგარიშით 3 : 0. ადგილობრივი გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ სსრ კავშირის გუნდის თამაშს, სპორტსმენნი ფიზიკურ მომზადებას და აღიარებენ, რომ ეს გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია.

◆ **გუშინ** მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება რუსულ და ასურეულ შაშში. ძირითადი მეტოქეობა მიმდინარეობდა რსფსრ, უკრაინისა და მოსკოვის გუნდებს შორის, მაგრამ მათ შორის თუ ვინ მოიპოვებდა პირველობას უკანასკნელ ტურამდე გაურკვეველი იყო. ბოლო ტურში მოსკოველებმა წარმატებით ითამაშეს, გაუსწრეს მეტოქეებს და ჩემპიონობა მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის გუნდი, მესამეზე — რსფსრ გუნდი.

„შახტიორი“ იუგოსლავიაში

ჩვენი ქვეყნის „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები ტურნეს მართავენ საზღვარგარეთ. სსრ კავშირის თასის მფლობელი დონე